სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი
თამარ მეფის გამზ#5, ბ. 23
თბილისი, 0112, საქართველო
ტელ: (+995) 32 95 90 61
ფაქსი: (+995) 32 95 22 31
ელ.ფოსტა:info@issa-georgia.com
www.issa-georgia.com

ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების სამართლებრივი საჭიროებების კვლევა

(კვლევის ანგარიში)

თბილისი, 2015

ძირითადი შედეგები

კვლევა ჩატარდა საქართველოს დედაქალაქსა და ორ რეგიონში (კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი). სულ გამოიკითხა 412 რესპონდენტი, სადაც: 288 ადვოკატია (69.9%), 69 პროკურორი (16.7%) და 55 მოსამართლე (13.3%). გამოკითხულთა სტაჟი, ძირითადად, 5-10 წლამდე (29.4%), 1-3 წლამდე (25%) ან 10 და მეტი წელია (24.5%).

გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი, 41.5%, 25-34 წლისაა, ხოლო მესამედი, 33% - 35-44 წლის. გამოკითხულთა უმრავლესობას 5 წლიანი განათლების დიპლომი აქვს, თითქმის მესამედს - მაგისტრის დიპლომი. გამოკითხულთა უმრავლესობა (55.6%) სახელმწიფო საადვოკატო ბიუროშია დასაქმებული. ძალადობის საქმეები პრაქტიკაში საერთოდ არ ჰქონია გამოკითხულთა 46.8%-ს. რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი კი აღნიშნავს, რომ მათ პრაქტიკაში ძალადობის საქმეების რაოდენობა 10-მდე იყო.

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, რესპონდენტების აზრით, ძალადობის სხვადასხვა სახეები მეტ-ნაკლებად გავრცელებულია, თუმცა გამოიყო ორი ყველაზე მეტად გავრცელებული სახე - ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. ძალადობის აღნიშნული ორი სახე არა მხოლოდ ყველაზე გავრცელებულად მიაჩნიათ რესპონდენტებს, არამედ მიუთითებენ ამგვარი ფაქტების მათ იურიდიულ პრაქტიკაში ხშირად განმეორებადობის შესახებ (შესაძლოა პრაქტიკაში ყველაზე ხშირად განმეორებადი ფაქტები აღიქმება როგორც საზოგადოებაში ყველაზე გავრცელებული. ამის მაგალითად ცალკე აღებული ადვოკატების შეფასებების მოყვანა შეიძლება, სადაც ძალადობის ხუთივე სახეს, მათ პრაქტიკაში გამოვლინების ფაქტებს მეტ-ნაკლებად თანაბარი ხვედრითი წილი აქვს). ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე მუშაობა რესპონდენტთა ძირითადი ნაწილისათვის უინტერესოა ან ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ (76.2%), ხოლო დაინტერესებულ რესპონდენტებს შორის ისინი ჭარბობენ, ვისაც ოჯახური ძალადობის ფაქტების იურიდიული პრაქტიკის ნაკლებობა აქვთ.

გამოკითხული მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები სამართლებრივი აქტების, ასევე სხვადასხვა სამართალდამცველი და უფლებადამცველი სტრუქტურების საქმიანობას ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით პოზიტიურ შეფასებებს აძლევენ, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებით ხაზგასმულია საკანონმდებლო აქტები და არასამთავრობო სექტორი.

რესპონდენტთა სამართალწარმოების პრაქტიკაში ოჯახში ძალადობის ფაქტები ყველაზე ხშირად განპირობებულია როგორც ზოგიერთი ინდივიდუალური (დაბალი ინფორმირებულობა და აქედან გამომდინარე ძალადობის შესახებ ინფორმაციის დაფარვა), ასევე სისტემური ფაქტორებით (კანონმდებლობის ხარვეზები). ამას გარდა კვლევამ გამოავლინა, რომ სხვადასხვა ინდივიდუალური და სისტემური ფაქტორები (კვლევის ფარგლებში, კითხვარით გათვალისწიებული ყველა ფაქტორი, რომელიც ეხება არა მხოლოდ ოჯახური ძალადობის ფაქტის დაფარვას, დაბალ ინფორმირებულობასა და საკანონმდებლო ხარვეზებს, ასევე პატრულის, პროკურორისა და ადვოკატის არაკვალიფიციურობას და ა.შ.) უშლის ხელს ოჯახური ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოებას.

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ იურისტების კვალიფიკაცია ოჯახში ძალადობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში. ცალ-ცალკე

ფასდებოდა მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების კვალიფიკაცია. შეფასებები, ზოგადად, მაღალია - რესპონდენტების შეფასების საშუალო მაჩვენებელი არცერთ კომპონენტთან მიმართებაში ხვდება დაბალი შეფასების ველში.

მოსამართლეების კვალიფიკაცია ოჯახში ძალადობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში, ძირითადად, მაღალი ქულებით შეფასდა. რესპონდენტების შეფასების საშუალო მაჩვენებელი არცერთ კომპონენტთან მიმართებაში არ მოხვდა საშუალოზე დაბალი შეფასების ველში. თავად მოსამართლეებმა საკუთარი კოლეგების კვალიფიკაცია, ძირითადად, უფრო მაღალი ქულებით შეაფასეს, ვიდრე ადვოკატებმა.

რაც შეეხება პროკურორებს, მათი კვალიფიკაციაც, ძირითადად, საშუალოზე მაღალი ქულებით ფასდება. აღსანიშნავია, რომ პროკურორებმა უფრო მაღალი ქულებით შეაფასეს საკუთარი კოლეგები, ვიდრე ადვოკატებმა და მოსამართლეებმა. მათი შეფასება, ყველა კომპონენტთან მიმართებით, მაღალი კომპეტენციის ველშია.

ადვოკატების კვალიფიკაციის შეფასების საშუალო მაჩვენებელი, ძირითადად, შეფასების საშუალო ველშია. ერთადერთი კომპონენტი, რომელშიც ადვოკატების კომპეტენცია საშუალოზე მაღალი ქულით ფასდება, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლია“ (საშ. მაჩვენებელი-3.8). აღსანიშნავია, რომ მოსამართლეები შედარებით მაღალი ქულებით აფასებენ ადვოკატების კვალიფიკაციას, ვიდრე დანარჩენი ორი სამიზნე ჯგუფი, ხოლო ადვოკატები კი პირიქით, შედარებით დაბალი ქულებით აფასებენ საკუთარი კოლეგების კვალიფიკაციას.

როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მაღალი ქულებით შეფასდა მოსამართლეების კვალიფიკაცია ოჯახში ძალადობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში, ხოლო ყველაზე დაბალი ქულებით - ადვოკატების კვალიფიკაცია. მოსამართლეებიც, ადვოკატებიცა და პროკურორებიც მაღალ შეფასებას ძირითადად, იღებენ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი“, „საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავებს“და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავების გადაწყვეტას“. რაც შეეხება დაბალ შეფასებას, როგორც ჩანს, იურისტების კვალიფიკაცია შედარებით დაბალია ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა „გაეროს კონვენცია ქალთა დისკრიმინაციისყველა ფორმის აღკვეთის შესახებ და მისიზოგადი რეკომენდაცია N19“ და „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა“.

მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებს უნდა შეეფასებინათ ოჯახში ძალადობის, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიმართ გათვალიწინებული ღონისძიებები სამი მახასიათებლის მიხედვით - ეფექტიანობით, ოპერატიულობით და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით. შეფასებები, ზოგადად, დადებითია - რესპონდენტების შეფასების საშუალო მაჩვენებელი არცერთ კომპონენტთან მიმართებაში არ ხვდება უარყოფითი შეფასების ველში.

როგორც აღმოჩნდა, იურისტები ყველაზე დადებითად აფასებენ ოჯახში ძალადობის მიმართ გათვალისწინებულ ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა „კრიზისული ცენტრები ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის, სამედიცინო და სამართლებრივი მომსახურებისათვის“ და „დროებითი თავშესაფრები ძალადობის მსხვერპლთათვის“. ამ ღონისძიებებს შეფასების ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვთ როგორც ეფექტურობაში, ასევე ოპერატიულობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიებების ეფექტურობა უფრო მაღალი ქულებით ფასდება, ვიდრე ოპერატიულობა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან არცერთი მოხვდა უარყოფითი შეფასების ველში, თუმცა ნეიტრალური შეფასება რამდენიმე კომპონენტს აქვს.

საბოლოოდ, ნეიტრალურ წერტილთან ყველაზე ახლოს იყო და შესაბამისად, ყველაზე უარყოფითად შეფასდა შემდეგი ღონისძებები (ეფექტურობის, ოპერატიულობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით): „ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული მოძალადის მიერ შემაკავებელი და დამცავი ორდერის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში მოძალადის დასჯა ჯარიმით“ და „შემაკავებელი ორდერის გამოცემა 1 თვემდე ვადით.“

მოსამართლეები და პროკურორები, როგორც აღმოჩნდა, შედარებით მაღალი ქულებით აფასებენ ჩამოთვლილი ღონისძიებების ეფექტურობას, ოპერატიულობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, ვიდრე ადვოკატები.

კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების სამართალწარმოებასთან დაკავშირებით იურისტებისთვის ყველაზე მისაღებია შემდეგი ცვლილებების გატარება: „დამცავი ორდერით გათვალისწინებული ღონისძიებების გამკაცრება“, „დამცავი ორდერის დარღვევისთვის გათვალისწინებული სასჯელის გამკაცრება“, „დროებითი თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების ქსელის გაფართოება“, „შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ღონისძიებების გამკაცრება“, „ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფა“, „დროებით თავშესაფრებში და კრიზისულ ცენტრებში ძალადობის მსხვერპლთა ყოფნის ვადის გახანგრძლივება“ და „შემაკავებელი ორდერის დარღვევისთვის გათვალისწინებული სასჯელის გამკაცრება“.

მათთვის შედარებით მიუღებელია „სასამართლოს მიერ შემაკავებელი ორდერის დასამტკიცებლად განკუთვნილი 24 საათიანი ვადის შემცირება“ (გამოკითხულთა მესამედზე მეტისთვის მიუღებელია - 33.7%), „სასამართლოს მიერ შემაკავებელი ორდერის დასამტკიცებლად განკუთვნილი 24 საათიანი ვადის გაზრდა“ (გამოკითხულთა 37.9%-ისთვის მიუღებელია) და „შემაკავებელ ორდერზე მოსამართლის თანხმობის გაუქმება“ (გამოკითხულთა 44.2%-ისთვისმიუღებელია).

კვლევამ აჩვენა, რომ იურისტების უმრავლესობას სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია როგორც 1) ოჯახში ძალადობის საქმეების სამართალწარმოებასთან, ასევე 2) ოჯახში ძალადობის ფსიქო-სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე საკითხთან მიამრთებაში მიღებული მონაცემები თითქმის იდენტურია.

ოჯახში ძალადობის საქმეების სამართალწარმოებასთან დაკავშირებით კვალიფიკაციის ამაღლების მოსურნე იურისტების ხვედრითი წილი შეადგენს 89.3%-ს(ცალსახად ან მეტ-ნაკლებად მოსურნე), ხოლო ოჯახში ძალადობის ფსიქო-სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით კვალიფიკაციის ამაღლების მოსურნეთა შემთხვევაში - 87.9%-ს (ცალსახად ან მეტ-ნაკლებად მოსურნე). ორივე შემთხვევაში მოსამართლეები შედარებით მეტი „აქტიურობით" გამოირჩევიან, პირველ შემთხვევაში თითოეულმა მათგანმა გამოთქვა კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აღნიშნული მიმართულებით, ხოლო მეორე შემთხვევაში - 98.2%-მა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იურისტებსა და ადვოკატებს შორის მინიმალურია იმ რესპონდეტთა რაოდენობა, ვისაც არ სურს კვალიფიკაციის ამაღლება აღნიშნული ორი მიმართულებით. სავსებით ლოგიკურია, მიღებული მონაცემების ფონზე რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის სურვილი უფასო საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, აემაღლებინათ ცოდნა/კვალიფიკაცია ოჯახში ძალადობის საქმეების სამართალწარმოებასთან დაკავშირებით (91.1% - ოჯახში ძალადობის საქმეების სამართალწარმოება; 89.6% - ოჯახში ძალადობის ფსიქო-სოციალურ ასპექტები).

როგორც ოჯახში ძალადობის საქმეების სამართალწარმოებასთან, ასევე ოჯახში ძალადობის ფსიქო-სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის ყველაზე მისაღები ფორმა იურისტებისათვის, განსაკუთრებით კი მოსამართლეებისათვის (შესაძლოა მათი დატვირთული გრაფიკის გამო) მოკლევადიანი, 3 დღემდე ხანგრძლივობის ტრენინგებია (მიუთითებს გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი ორივე შემთხვევაში). თუმცა არცთუ ცოტა მომხრე ჰყავს საშუალოვადიან ტრენიგებს (3-7 დღე - ორივე საკითხთან მიართებაში მაჩვენებლები ვარირებს დაახ. 34-36%-ის ფარგლებში). ამას გარდა, იმ რესპონდენტებმა, ვინც არ გამოთქვა ოჯახში ძალადობის საქმეების სამართალწარმოებასთან (საერთო ჯამში 7.5%) და ოჯახში ძალადობის ფსიქო-სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით (საერთო ჯამში 8.7%) კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი, ჩამოთვლილ მიზეზთა შორის, ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად მოცემულ სფეროში საქმიანობის სურვილის არქონა დაასახელეს (მოცემულ ჯგუფებში, ორივე საკითხთან მიმართებაში, მაჩვენებლები ვარირებს თითქმის 60-64%-ის ფარგლებში).

მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში, გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს დედაქალაქსა და ორ რეგიონში (კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი).

კვლევის სამიზნე ჯგუფი: მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები (თბილისში, კახეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთში).

შერჩევის ზომა: 412 ინტერვიუ

კვლევის მეთოდი: კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს და ონლაინ გამოკითხვის მეთოდების საშუალებით. კერძოდ, კველვის ერთი სამიზნე ჯგუფი - ადვოკატები გამოიკითხნენ პირისპირ ინტერვიუს მეშვეობით, ხოლო მოსამართლეები და პროკურორები ონლაინ გამოკითხვის გზით, რომელთაც ინდივიდუალურ ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნათ ელექტრონული კითხვარები.

ინტერვიუების განაწილება: (იხ. ცხრილი #1)

ცხრილი #1

რესპონდენტების სამიზნე ჯგუფი:	ინტერვიუების რაოდენობა კატეგორიების მიხ.	სანდოობა 95%
მოსაართლეები	**55**	**ცდომილება 4%**
პროკურორები	**69**	
ადვოკატები	**288**	
ჯამი	**830**	**ცდომილება მთლიანი შერჩევისთვის 3%**

შერჩევის დიზაინი: მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატიფიცირებით. **შერჩევის პირველადი ერთეული (PSU):** ქალაქი, **შერჩევის საბოლოო ერთეული (FSU):** მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები.

კვლევის ინსტრუმენტი: რაოდენობრივი კვლევის კითხვარი

კითხვარის პრე-ტესტირება: განხორციელდა კითხვარის შემუშავების შემდგომ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ (10 კითხვარი). პრეტესტირებით მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდა საჭირო ცვლილებების შეტანა და კითხვარის საბოლოო ფორმულირებას.

ინტერვიუერებისა და სუპერვაიზორების ტრენინგი: კითხვარის საბოლოო ვერსიის და შერჩევის საბოლოო დიზაინის შემუშავების შემდგომ ISSA -ს ანალიტიკოსმა და პროექტის კოორდინატორმა ჩაატარეს ველის სუპერვაიზორების ტრენინგი, რომელიც შეეხება კითხვარის სპეციფიკას, კვლევის პროტოკოლს, მათ მოვალეობა-პასუხისმგებლობებს და შერჩევის ტიპს. თითოეული რეგიონის სუპერვაიზორმა განახორციელა ადგილობრივი ინტერვიუერების ტრენინგი.

საველე სამუშაოების კონტროლი: დაიწყო ველის დასრულებისთანავე და განახორციელა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიუტის“ ინივიდთა დამოუკიდებელმა ჯგუფმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საველე სამუშაოების კონტროლზე და გავლილი ჰქონდათ შესაბამისი ტრენინგი. როგორც წესი, ჩატარებული ინტერვიუების 10% გაკონტროლება მოხდა, საველე სამუშაოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. კონტროლისათვის კითხვარები ამოირჩევა შემთხვევითი შერჩევის გზით ისე, რომ ყველა ინტერვიუერი დაექვემდებაროს კონტროლს.

მონაცემთა შეტანა/დამუშავება: „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიუტის“ ტექნიკურმა პერსონალმა განახორციელა რაოდენობრივი მონაცემების კოდირება და შეტანას ელექტრონულ ბაზაში. მონაცემთა შეტანის პროცესი დაიწყო საველე სამუშაოების პარალელურად (როდესაც კითხვარების სულ მცირე 30% შეივსო და მოტანილ იქნა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიუტის“ ოფისში). მოხდა ღია კითხვების კოდირება და SPSS-ის ბაზაში შეტანა. 2 ტექნიკური ასისტენტი პასუხისმგებელი იყო მონაცემთა კოდირებასა და SPSS-ის ბაზაში შეტანაზე.

მონაცემთა ანალიზი: SPSS-ის პროგრამის სპეციალისტმა (სტატისტიკოსმა) განახორციელა მონაცემთა გაწმენდა, შეწონვა და დამუშავება.

მონაცემთა გაწმენდა მოიცავს სამ ქვეპროცესს: მონაცემთა შემოწმება და შეცდომების აღმოჩენა; მონაცემთა ვალიდაცია, შეცდომების გასწორება.

კვლევის მონაცემების გაანალიზება მოხდაSPSS-ის პროგრამის საშუალებით, სხვადასხვა მეთოდების საფუძველზე (სიხშირეების განაწილება, კროსტაბულაცია, კორელაცია და ა.შ.)

I. სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

სულ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 412 რესპონდენტი. გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი ადვოკატია (288 რესპონდენტი, 69.9%). კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 69 პროკურორი (16.7%) და 55 მოსამართლე (13.3%). გამოკითხულთა სტაჟი, ძირითადად, 5-10 წლამდე (29.4%), 1-3 წლამდე (25%) ან 10 და მეტი წელია (24.5%).

ცხრილი №1.1

თანამდებობრივი სტატუსი	სულ
პირველი ინსტანციის მოსამართლე	13.3%
პროკურორი	16.7%
კერძო ადვოკატი	68.2%
სახაზინო ადვოკატი	1.0%
კომპანიის იურისტი	0.7%

ცხრილი №1.2

თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
0-1წლამდე	7.5%	1.8%	4.3%	8.7%
1-3 წლამდე	25.0%	14.5%	36.2%	24.3%
3-5 წლამდე	13.6%	12.7%	20.3%	12.2%
5-10 წლამდე	29.4%	54.5%	10.1%	29.2%
10 და მეტი წელი	24.5%	16.4%	29.0%	25.0%

გამოკითხულთა შორის მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა თითქმის თანაბარია. მოსამართლეთა შორის მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა მეტია, ხოლო პროკურორთა შორის - მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა. გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი, 41.5%, 25-34 წლისაა, ხოლო მესამედი, 33% - 35-44 წლის. გამოკითხულთა უმრავლესობას 5 წლიანი განათლების დიპლომი აქვს, თითქმის მესამედს - მაგისტრის დიპლომი.

ცხრილი №1.3

სქესი	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
მდედრობითი	50.2%	61.8%	36.2%	51.4%
მამრობითი	49.8%	38.2%	63.8%	48.6%

ცხრილი №1.4

ასაკი	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
25 წლამდე	5.3%	-	7.2%	5.9%
25-34 წლის	41.5%	18.2%	43.5%	45.5%
35-44 წლის	33.0%	63.6%	33.3%	27.1%
45-54 წლის	14.1%	12.7%	13.0%	14.6%
55 და მეტი წლის	6.1%	5.5%	2.9%	6.9%

ცხრილი №1.5

განათლების მიღწეული დონე	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
5 წლიანი განათლების დიპლომი	51.7%	72.7%	43.5%	49.7%
ბაკალავრის დიპლომი	13.8%	1.8%	13.0%	16.3%
მაგისტრის დიპლომი	31.3%	20.0%	42.0%	30.9%
სამეცნიერო ხარისხი	3.2%	5.5%	1.4%	3.1%

გამოკითხულთა უმრავლესობა (55.6%) სახელმწიფო საადვოკატო ბიუროშია დასაქმებული, 14.1% - თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 11.2% - თბილისის რაიონულ პროკურატურებში. მოსამართლეთაგან თითქმის ყველა (98.2%) დასაქმებულია თბილისის საქალაქო სასამართოში. პროკურორების უმრავლესობა (66.7%) დასაქმებულია თბილისის რაიონულ პროკურატურებში. ადვოკატების უმრავლესობა დასაქმებულია სახელმწიფო საადვოკატო ბიუროებში (79.5%).

ცხრილი №1.6

სამუშაო ადგილი	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
სახელმწიფო საადვოკატო ბიურო	55.6%	-	-	79.5%
თბილისის საქალაქო სასამართლო	14.1%	98.2%	-	1.4%
თბილისის რაიონული პროკურატურები	11.2%	-	66.7%	-
კერძო საადვოკატო ბიურო	6.8%	-	-	9.7%
კახეთის საოლქო პროკურატურა	4.9%	1.8%	20.3%	1.7%
სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურა	1.9%	-	10.1%	0.3%
კერძო კომპანია	1.9%	-	-	2.8%
არასამთავრობო ორგანიზაცია	1.2%	-	-	1.7%
კახეთის რეგიონის საქალაქო სასამართლო	1.0%	-	-	1.4%
თბილისის პროკურატურა	0.7%	-	2.9%	0.3%
სამეგრელო-ზემო სვანეთის საქალაქო სასამართლო	0.5%	-	-	0.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	0.2%	-	-	0.3%

ძალადობის საქმეები პრაქტიკაში საერთოდ არ ჰქონია გამოკითხულთა 46.8%-ს. რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი კი აღნიშნავს, რომ მათ პრაქტიკაში ძალადობის საქმეების რაოდენობა 10-მდე იყო. მოსამართლეები და პროკურორები უფრო იშვიათად ამბობენ, რომ მათ პრაქტიკაში არ ჰქონიათ ოჯახში ძალადობის საქმეები, ვიდრე ადვოკატები, რომელთაგან 61.1% აფიქსირებს აღნიშნულ პასუხს.

ცხრილი №1.7

ოჯახში ძალადობის საქმეების რაოდენობა თქვენს პრაქტიკაში	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
საერთოდ არ მქონია	46.8%	14.5%	13.0%	61.1%
10 საქმემდე	27.4%	21.8%	55.1%	21.9%
11-20 საქმემდე	8.7%	18.2%	17.4%	4.9%
21-50 საქმემდე	4.1%	14.5%	5.8%	1.7%
51 საქმე და მეტი	4.6%	27.3%	4.3%	0.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	8.3%	3.6%	4.3%	10.1%

II. ოჯახში ძალადობა იურიდიულ პრაქტიკაში

კვლევაში მონაწილე მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებას საქართველოში ძალადობის სხვადასხვა სახეების გავრცელების შესახებ. როგორც მონაცემები აჩვენებს, გამოკითხულთა აზრით, ჩამოთვლილთაგან ყველა სახის ძალადობა მეტ-ნაკლებად გავრცელებულია (ხუთივე სახის ძალადობის საშუალო მაჩვენებელი იმყოფება მაღალი შეფასების ველში, ან სკალის ნეიტრალურ პუნქტთან ახლოს საერთო მონაცემების მიხედვით), თუმცა აქცენტი კეთდება ფსიქოლოგიურ (საშ. მაჩვენებელი 3.38) და ფიზიკურ (საშ. მაჩვენებელი 3.15) ძალადობაზე. მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების მიხედვით ჭრილში არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავებები, მხოლოდ პროკურორებთან და მოსამართლეებთან სექსუალური ძალადობის მაჩვენებელი იმყოფება დაბალი შეფასების ველში (ე.ი. მათი აზრით, პრაქტიკაში შედარებით ნაკლებად გავრცელებულია), ხოლო პროკურორებთან ფიზიკურ ძალადობას შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს.



	რამდენად გავრცელებულია საქართველოში სხვადასხვა სახის ოჯახში ძალადობა?	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
1	ფიზიკური ძალადობა (ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება და სხვ.)	3.15	3.35	2.82	3.19
2	ფსიქოლოგიური ძალადობა (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა და სხვ.)	3.38	3.24	3.22	3.44
3	სექსუალური ძალადობა (სქესობრივი კავშირი ძალადობით)	2.53	2.26	2.08	2.67
4	ეკონომიკური ძალადობა (ქონებით, საცხოვრებლით, საკვებით და ა.შ.	2.78	2.50	2.38	2.93

	სარგებლობის შეზღუდვა)				
5	იძულება (ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგანაც თავის შეკავება მისი უფლებაა)	2.91	2.60	2.65	3.04

შენიშვნა: *მონაცემები დათვლილია 4-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „საერთოდ არ არის გავრცელებული“, ხოლო ციფრი „4“- „ძალზე გავრცელებულია“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „2.5“. მონაცემები „2.5“-ზე ზევით შეესაბამებამაღალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „2.5“-ზე ქვევით - დაბალი შეფასების ველს.*

რაც შეეხება ძალადობის სხვადასხვა სახეების კონკრეტულ იურიდიულ პრაქტიკას რესპონდენტებთან, მათ კვლავ იმ ორ ძალადობის სახეზე გააკეთეს აქცენტი და მიუთითეს, რომ უფრო მეტად ხვდებათ პრაქტიკაში, რომელებიც ყველაზე გავრცელებულად დაასახელეს: ფიზიკური (საშ. მაჩვენებელი 2.61) და ფსიქოლოგიური (საშ. მაჩვენებელი 2.57) ძალადობა. დანარჩენი ძალადობის სახეები მოექცა დაბალი შეფასების ველში. მმოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების ჭრილში გამოვლინდა შემდეგი განსხვავებები:

- იურიდიულ პრაქტიკაში მოსამართლეებს ყველაზე მეტად შეხვედრიათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები (საშ. მაჩვენებლები 3.51 და 3.27), ძალადობის დანარჩენი ფაქტები დაბალი შეფასების ველშია მოქცეული;
- პროკურორებთან ფიზიკური ძალადობის ფაქტები ყველაზე ხშირია პრაქტიკაში (საშ. მაჩვენებელი 3.01), ძალადობის დანარჩენი ფაქტები დაბალი შეფასების ველშია მოქცეული;
- ადვოკატებთან ძალადობის სახეების პრაქტიკაში გამოვლენის ფაქტები მეტ-ნაკლებად გადანაწილებულია, თუმცა ყველა მაჩვენებელი განთავსებულია სკალის დაბალი შეფასების ველში - თითქმის თანაბარია ფიზკური, ეკონომიკური ძალადობის და იძულების მაჩვენებლები (საშ. მაჩვენებლები: 2.32; 2.34; 2.41). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სექსუალურ ძალადობას აქვს (1.81).

	რამდენად ხშირად მოხვდა თქვენს იურიდიულ პრაქტიკაში სხვადასხვა სახის ოჯახში ძალადობის შემთხვევები ბოლო 2 წლის მანძილზე?	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
1	ფიზიკური ძალადობა (ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება და სხვ.)	2.61	3.51	3.01	2.32
2	ფსიქოლოგიური ძალადობა (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა და სხვ.)	2.57	3.27	2.27	2.50
3	სექსუალური ძალადობა (სქესობრივი კავშირი ძალადობით)	1.76	2.04	1.38	1.81
4	ეკონომიკური ძალადობა (ქონებით, საცხოვრებლით, საკვებით და ა.შ. სარგებლობის შეზღუდვა)	2.18	2.30	1.49	2.34
5	იძულება (ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგანაც თავის შეკავება მისი უფლებაა)	2.33	2.74	1.73	2.41

შენიშვნა: *მონაცემები დათვლილია 5-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „იშვიათად (წელიწადში რამდენჯერმე)“, ხოლო ციფრი „5“- „ძალზე ხშირად“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამებამაღალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - დაბალი შეფასების ველს.*

როგორც აღმოჩნდა, ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობა რესპონდენტებისათვის უინტერესოა. მხოლოდ 10.4% აღმოჩნდა ისეთი, ვისაც მსგავსი საქმეები აინტერესებს (ძალზე ან უფრო). ნეიტრალურად განწყობილთა ხვედრითი წილი 15%-ია, 61.2%-თვის კი - უფრო ან ძალზე უინტერესო. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეებს შედარებით ხშირად ხვდებათ პრაქტიკაში ძალადობის სხვადასხვა სახეები (განსაკუთრებით ფიზიკური და ფსიქოლოგიური), მათ შორის არ მოიძებნა არცერთი რესპონდენტი, ვინც აღნიშნავდა რომ ოჯახური ძალადობის საქმეებზე მუშაობა მისთვის საინტერესოა. შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ მხრივ ადვოკატებს აქვთ (13.5% - ძალზე ან უფრო საინტერესოა).აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტების უმრავლესობამ, ვინც აღნიშნა, რომ მისთვის ძალზე საინტერესოა ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობა, მიუთითა ძალადობის ფაქტების მათ იურიდიულ პრაქტიკში თითქმის არარსებობის შესახებ (მაჩვენებლები ძალადობის ხუთივე სახის მიმართ ვარირებს 47 – 68%-ის ფარგლებში)

	რამდენად საინტერესოა თქვენთვის ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობა (საქმეების განხილვა)?	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
1	ძალზე საინტერესოა	4.9%		2.9%	6.3%
2	უფრო საინტერესოა, ვიდრე უინტერესო	5.6%		2.9%	7.3%
3	არც საინტერესოა და არც უინტერესო	15.0%	21.8%	27.5%	10.8%
4	უფრო უინტერესოა, ვიდრე საინტერესო	34.2%	49.1%	47.8%	28.1%
5	ძალზე უინტერესოა	26.9%	23.6%	13.0%	30.9%
6	მიჭირს პასუხის გაცემა	13.3%	5.5%	5.8%	16.7%

რესპონდენტებს უნდა შეფასებინათ როგორც სხვადასხვა სამართლებრივი აქტები, ასევე სხვადასხვა სამართალდამცველი და უფლებადამცველი სტრუქტურების საქმიანობა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით (დადებითი - უარყოფითი შეფასებების კონტინუუმზე). რესპონდენტები მაღალ (პოზიტიურ) შეფასებას აძლევენ თითოეულ ჩამოთვლილ საკანონმდებლო აქტებს და სხვადასხვა სტრუქტურებს ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით (ყველა მათგანი მაღალი შეფასების ველშია მოქცეული). ზოგადი მონაცემების მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს საკანონმდებლო აქტებს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] (საშ. მაჩვენებელი 3.62)და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1](საშ. მაჩვენებელი 3.57) მუხლებს, და ადგილობრივ და საერთაშორისო უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზციებს, ასევე სახალხო დამცველის ოფისს, ხოლო შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებლები პოლიციასა (2.79) და პროკურატურას (2.76). მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების ჭრილში გამოვლინდა შედეგი განსხვავებები:

- მოსამართლეებთან და პროკურორებთან ყველაზე დადებითი შეფასების მაღალი მაჩვენებელი მათივე უწყებებში დასახელდა (მოსამართლეები - სასამართლო(3.73); პროკურორები - პროკურატურა (3.72));
- მოსამართლეებთან ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი (ყველაზე უარყოფითი შეფასება) აქვს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში“ (2.67), ხოლო პროკურორებთან - ადვოკატთა კორპუსს (2.98);
- ადვოკატებთან ზოგადად შედარებით დაბალი მაჩვენებლები გამოიკვეთა. ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლები კი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების (საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები - 3.24; ადგილობრივი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები - 3.09), სახალხო დამცველის ოფისის (3.09) და „კანონის ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (3.05) მიმართ დაფიქსირდა.

ზოგადად, როგორ შეაფასებდით ქვემოთ ჩამოთვლილი აქტების, აგრეთვე, სამართალდამცველი და უფლედამცველი სტრუქტურების საქმიანობას ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით?		სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
1	კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ	3.19	3.47	3.54	3.05
2	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლი - პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის	3.62	3.49	3.70	-
3	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]- ე მუხლი - ოჯახში ძალადობა	3.57	3.44	3.65	-
4	საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში	2.86	2.67	-	2.86
5	საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თავი VII[3].ადმინისტრაციული სამართალწაროება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით	3.02	3.47	3.51	2.80
6	პოლიცია	2.79	3.00	3.49	2.56
7	პროკურატურა	2.76	3.00	3.72	2.44
8	სასამართლო	3.13	3.73	3.37	2.93
9	ადვოკატთა კორპუსი	3.09	3.30	2.98	3.07
10	საქართველოს პარლამენტი	2.82	3.04	3.45	2.59
11	ადგილობრივი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები	3.12	3.20	3.18	3.09
12	საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები	3.26	3.36	3.28	3.24
13	სახალხო დამცველის ოფისი	3.16	3.26	3.34	3.09

შენიშვნა: *მონაცემები დათვლილია 4-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „უარყოფითად“, ხოლო ციფრი „4“- „დადებითად“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „2.5“. მონაცემები „2.5“-ზე ზევით შეესაბამებამაღალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „2.5“-ზე ქვევით - დაბალი შეფასების ველს.*

რესპონდენტებს მიცემული ჰქონდათ ძალადობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტების ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც უნდა დაესახელებინათ, რამდენად ხშირად მომხდარა აღნიშნული ფაქტები სამართალწარმოების მათ პრაქტიკაში. საერთო მონაცემების მიხედვით, ჩამოთვლილ ფაქტთა უმეტესობა იშვიათად მომხდარა (დაბალი შეფასების ველში იმყოფება). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს (სკალის ნეიტრალურ პუნქტთან ახლოს) და შესაბამისად, სამართალწარმოების პრაქტიკაში შედარებით ხშირად ხვდება (მაღალი შეფასების ველში იმყოფება)ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტები: მოქალაქეების არაინფორმირებულობა ოჯახში ძალადობის და მისგან დაცვის მექანიზმების შესახებ (3.39),ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიერ ძალადობის დაფარვა (არგამხელა) – (3.35) დაკანონმდებლობის ხარვეზები (3.05). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ისეთი ფაქტის მისამართით, როგორიცაა მოსამართლის მიერ ძალადობის შემთხვევის არაკვალიფიციური შეფასება (1.9). მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების ჭრილში არ დაფიქსრებულა ზოგადი მონაცემებისგან მკვერად განსხვავებული შედეგები, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული სამი ფაქტის გარდა, ადვოკატების

სამართალწარმოების პრაქტიკაში სხვა დანარჩენი ფაქტები შედარებით ხშირად მომხდარა (პროკურორებთან და მოსამართლეებთან შედარებით მაღალი საშუალო მაჩვენებლებია, მაგრამ ასევე დაბალი შეფასების ველში).

	რამდენად ხშირად მომხდარა ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოების თქვენს პრაქტიკაში ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტები?	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
1	ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიერ ძალადობის დაფარვა (არგამხელა)	3.35	3.80	3.31	3.28
2	ძალადობის მსხვერპლის მიერ სასამართლოში საქმის გაგრძელებაზე უარის თქმა და საქმის შეწყვეტა	2.81	2.62	2.43	2.95
3	პატრულის მიერ ადგილზე სიტუაციის არაკვალიფიციური შეფასება	2.90	2.90	2.18	3.07
4	პატრულის მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტების დაფარვა	2.09	1.73	1.45	2.30
5	მოსამართლის მიერ ძალადობის შემთხვევის არაკვალიფიციური შეფასება	1.90	1.11	1.50	2.15
6	პროკურორის მიერ ძალადობის შემთხვევის არაკვალიფიციური შეფასება	2.09	1.55	1.19	2.45
7	ადვოკატის მიერ ძალადობის შემთხვევის არაკვალიფიციური შეფასება	2.06	1.97	2.02	2.09
8	სირთულე იმის გარკვევასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის მოძალადე და ვინ - მსხვერპლი (მოძალადე ზოგჯერ მსხვერპლიცაა და პირიქით)	2.39	2.28	1.71	2.60
9	მოქალაქეების არაინფორმირებულობა ოჯახში ძალადობის და მისგან დაცვის მექანიზმების შესახებ	3.39	3.86	3.13	3.37
10	კანონმდებლობის ხარვეზები	3.05	3.09	2.37	3.23
11	კანონმდებლობის ინტერპრეტაციის (განმარტების) ხარვეზები	2.68	2.93	2.23	2.80

შენიშვნა: *მონაცემები დათვლილია 5-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „თითქმის არასოდეს“, ხოლო ციფრი „5“- „ძალზე ხშირად“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამებამაღალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - დაბალი შეფასების ველს.*

ამას გარდა, კვლევის მიხედვით უნდა გარკვეულიყო თუ რამდენად უშლის ხელს სამართალწარმოებას ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული იგივე ფაქტები. მონაცემები გვიჩვენებს, რომ როგორც საერთო მაჩვენებლების მიხედვით, ასევე მომსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების ჭრილში, ჩამოთვლილი ფაქტები მნიშვნელოვანად უშლის ხელს სამართალწარმოებას(ოჯახური ძალადობის შესახებ) (ყველა ფაქტი, ყველა ჭრილში აღმოჩნდა მაღალი შეფასების ველში).

	რამდენად უშლის ხელს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოებას ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები?	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
1	ძალადობის მსხვერპლის მიერ ძალადობის დაფარვა (არგამხელა)	3.84	3.85	3.90	3.82
2	ძალადობის მსხვერპლის მიერ სასამართლოში საქმის გაგრძელებაზე უარის თქმა და საქმის შეწყვეტა	3.61	3.66	3.65	3.59
3	პატრულის მიერ ადგილზე სიტუაციის არაკვალიფიციური შეფასება	3.44	3.26	3.52	3.46
4	პატრულის მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტების დაფარვა	3.53	3.54	3.66	3.50
5	მოსამართლის მიერ ძალადობის შემთხვევის არაკვალიფიციური შეფასება	3.44	3.20	3.52	3.46
6	პროკურორის მიერ ძალადობის შემთხვევის არაკვალიფიციური შეფასება	3.42	3.16	3.42	3.47
7	ადვოკატის მიერ ძალადობის შემთხვევის არაკვალიფიციური შეფასება	3.30	3.07	3.20	3.37
8	სირთულე იმის გარკვევასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის მოძალადე და ვინ - მსხვერპლი (მოძალადე ზოგჯერ მსხვერპლიცაა და პირიქით)	3.26	3.00	3.32	3.30
9	მოქალაქეების არაინფორმირებულობა ოჯახში ძალადობის და მისგან დაცვის მექანიზმების შესახებ	3.52	3.48	3.47	3.54
10	კანონმდებლობის ხარვეზები	3.36	3.22	3.24	3.42

შენიშვნა: *მონაცემები დათვლილია 4-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „საერთოდ არ უშლის“, ხოლო ციფრი „4“- „ძალზე უშლის“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „2.5“. მონაცემები „2.5“-ზე ზევით შეესაბამებამაღალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „2.5“-ზე ქვევით - დაბალი შეფასების ველს.*

შეჯამება

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, რესპონდენტების აზრით, ძალადობის სხვადასხვა სახეები მეტ-ნაკლებად გავრცელებულია, თუმცა გამოიყო ორი ყველაზე მეტად გავრცელებული სახე - ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. ძალადობის აღნიშნული ორი სახე არა მხოლოდ ყველაზე გავრცელებულად მიაჩნიათ რესპონდენტებს, არამედ მიუთითებენ ამგვარი ფაქტების მათ იურიდიულ პრაქტიკაში ხშირად განმეორებადობის შესახებ (შესაძლოა პრაქტიკაში ყველაზე ხშირად განმეორებადი ფაქტები აღიქმება როგორც საზოგადოებაში ყველაზე გავრცელებული. ამის მაგალითად ცალკე აღებული ადვოკატების შეფასებების მოყვანა შეიძლება, სადაც ძალადობის ხუთივე სახეს, მათ პრაქტიკაში გამოვლინების ფაქტებს მეტ-ნაკლებად თანაბარი ხვედრითი წილი აქვს). ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე მუშაობა რესპონდენტთა ძირითადი ნაწილისათვის უინტერესოა ან ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ (76.2%), ხოლო დაინტერესებულ რესპონდენტებს შორის ისინი ჭარბობენ, ვისაც ოჯახური ძალადობის ფაქტების იურიდიული პრაქტიკის ნაკლებობა აქვთ.

გამოკითხული მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები სამართლებრივი აქტების, ასევე სხვადასხვა სამართალდამცველი და უფლებადამცველი სტრუქტურების საქმიანობას ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით პოზიტიურ შეფასებებს აძლევენ, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებით ხაზგასმულია საკანონმდებლო აქტები და არასამთავრობო სექტორი.

რესპონდენტთა სამართალწარმოების პრაქტიკაში ოჯახში ძალადობის ფაქტები ყველაზე ხშირად განპირობებულია როგორც ზოგიერთი ინდივიდუალური (დაბალი ინფორმირებულობა და აქედან გამომდინარე ძალადობის შესახებ ინფორმაციის დაფარვა), ასევე სისტემური ფაქტორებით (კანონმდებლობის ხარვეზები). ამას გარდა კვლევამ გამოავლინა, რომ სხვადასხვა ინდივიდუალური და სისტემური ფაქტორები (კვლევის ფარგლებში, კითხვარით გათვალისწიებული ყველა ფაქტორი, რომელიც ეხება არა მხოლოდ ოჯახური ძალადობის ფაქტის დაფარვას, დაბალ ინფორმირებულობასა და საკანონმდებლო ხარვეზებს, ასევე პატრულის, პროკურორისა და ადვოკატის არაკვალიფიციურობას და ა.შ.) უშლის ხელს ოჯახური ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოებას.

III. იურისტების კვალიფიკაციიის და ოჯახში ძალადობის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შეფასება

3.1. მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების კვალიფიკაციის (ცოდნა, უნარები) შეფასება ოჯახში ძალადობის სამარლაწარმოებასთან დაკავშირებულ ასპექტებთან მიმართებაში

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ იურისტების კვალიფიკაცია ოჯახში ძალადობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში. ცალ-ცალკე ფასდებოდა მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების კვალიფიკაცია. შეფასებები, ზოგადად, მაღალია - რესპონდენტების შეფასების საშუალო მაჩვენებელი არცერთ კომპონენტთან მიმართებაში არ ხვდება საშუალოზე დაბალი შეფასების ველში.

მოსამართლეების კვალიფიკაცია ოჯახში ძალადობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში, ძირითადად, მაღალი ქულებით შეფასდა. მაღალი კვალიფიკაციის ველში მოხვდა ისეთი საკითხების ცოდნა, როგორებიცაა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი“ (საშ. მაჩვენებელი-4.4), „საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავებს“ (საშ. მაჩვენებელი-4.0) და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავების გადაწყვეტას“ (საშ. მაჩვენებელი-4.0). მიუხედავად იმისა, რომ „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა“ საშუალო კვალიფიკაციის ველშია, ჩამოთვლილთაგან ყველაზე დაბალი შეფასება სწორედ ამ კომპონენტს აქვს (საშ. მაჩვენებელი - 3.4). მონაცემები ცხადყოფს, რომ საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა მოსამართლეებისთვის ყველაზე პრობლემური საკითხია.

საინტერესოა მოსამართლეების კვალიფიკაციის შეფასება სამი სამიზნე ჯგუფის მიხედვითაც. თავად მოსამართლეებმა საკუთარი კოლეგების კვალიფიკაცია, ძირითადად, უფრო მაღალი ქულებით შეაფასეს, ვიდრე ადვოკატებმა (იხ. ცხრილი №3.1):

- მოსამართლეების შეფასების საშუალო მაჩვენებელი თითოეულ კომპონენტთან მიმართებით მაღალი კვალიფიკაციის ველშია. მოსამართლეების აზრით, მათი კოლეგების კვალიფიკაცია განსაკუთრებულად მაღალია შემდეგ საკითხებთან მიმართებით: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ოჯახში ძალადობის შემთხვევებისთვის“ (საშ. მაჩვენებელი-4.8); „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს“ (საშ. მაჩვენებელი-4.8) და „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს“ (საშ. მაჩვენებელი-4.8). მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ მათი კოლეგების კვალიფიკაცია შედარებით დაბალია ისეთ საკითხთან მიმართებით, როგორიცაა „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა“ (საშ. მაჩვენებელი-4.2);

- მოსამართლეებს პროკურორებიც მაღალი ქულებით აფასებენ. მათი შეფასების საშუალო მაჩვენებელიც მაღალი კვალიფიკაციის ველშია. ყველაზე მაღალი ქულებით პროკურორები აფასებენ მოსამართლეების კვალიფიკაციას ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა „კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (საშ. მაჩვენებელი-4.4), ხოლო შედარებით დაბალი ქულით - „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნას“ (საშ. მაჩვენებელი-4.0);
- ადვოკატები პროკურორებს შედარებით დაბალი ქულებით აფასებენ, თუმცა მათი შეფასებების ნაწილი - საშუალოზე მაღალი კვალიფიკაციის ველშია, ნაწილი კი - საშუალო კვალიფიკაციის ველში. ისინი ყველაზე მაღალი ქულებით აფასებენ კომპონენტებს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავების გადაწყვეტა“ (საშ. მაჩვენებელი-3.9) და „საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავებს“ (საშ. მაჩვენებელი3.8), ხოლო ყველაზე დაბალი ქულებით - „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა-ს“ (საშ. მაჩვენებელი 3.0), რომელიც საშუალო შეფასების ველშია.

ცხრილი №3.1

გთხოვთ, შეაფასოთ მოსამართლეების კვალიფიკაცია (ცოდნა, უნარები) ოჯახში ძალადობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი	4.4	4.6	4.3	-
საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავებს (მაგალითად, ქონების, ალიმენტის და სხვ. საკითხებს)	4.0	4.7	4.2	3.8
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავების (მაგალითად, ქონების, ალიმენტის და სხვ. საკითხების) გადაწყვეტას	4.0	4.6	4.2	3.9
კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ	3.9	4.7	4.4	3.6
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ოჯახში ძალადობის შემთხვევებისთვის	3.8	4.6	4.3	3.5
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ოჯახში ძალადობის შემთხვევებისთვის	3.8	4.8	4.3	3.5
კაზუსების ამოხსნის (ოჯახში ძალადობის კონკრეტული შემთხვევების კანონებთან მისადაგების) უნარი	3.8	4.7	4.3	3.4
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს	3.7	4.8	-	3.6
საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ	3.7	4.5	4.2	3.3
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს	3.6	4.8	-	3.6
გაეროს კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ და მისი ზოგადი რეკომენდაცია N19	3.6	4.4	4.3	3.3
ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა	3.4	4.2	4.0	3.0

შენიშვნა: *მონაცემები დათვლილია 5-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „ძალზე დაბალ კვალიფიკაციას“, ხოლო ციფრი „5“- „ძალზე მაღალ კვალიფიკაციას“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამებამაღალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - დაბალი შეფასების ველს.*

რაც შეეხება პროკურორებს, მათი კვალიფიკაციაც, ძირითადად, საშუალოზე მაღალი ქულებით ფასდება. შეფასების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთსაკითხებს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი“ (საშ. მაჩვენებელი-4.4), „საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავებს“ (საშ. მაჩვენებელი-4.0) და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავების გადაწყვეტას“(საშ. მაჩვენებელი-4.0). ჩამოთვლილთაგან ყველაზე დაბალი შეფასება დაიმსახურეს „გაეროს კონვენციამ ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ და მისმაზოგადმა რეკომენდაციამ N19“ (საშ. მაჩვენებელი-3.5) და „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნამ“ (საშ. მაჩვენებელი-3.4).

პროკურორების შეფასება საინტერესოა სამი სამიზნე ჯგუფის მიხედვითაც. აღსანიშნავია, რომ პროკურორებმა უფრო მაღალი ქულებით შეაფასეს საკუთარი კოლეგები, ვიდრე ადვოკატებმა და მოსამართლეებმა. მათი შეფასება, ყველა კომპონენტთან მიმართებით, მაღალი კომპეტენციის ველშია(იხ.ცხრილი №3.2):

- პროკურორების აზრით, მათი კოლეგების კვალიფიკაცია მაღალია ყველა ჩამოთვლილ კომპონენტთან დაკავშირებით, თუმცა ყველაზე მაღალი საშუალო მაჩენებელი აქვთ საკითხებს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი“ (საშ. მაჩვენებელი- 4.7) და „საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ“ (საშ. მაჩვენებელი-4.7);

- მოსამართლეების მიერ პროკურორების კვალიფიკაციის შეფასების საშუალო მაჩვენებლები, ძირითადად, მოქცეულია საშუალოზე მაღალი შეფასების ველში. ყველაზე მაღალი შეფასება აქვს კომპონენტს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი“ (საშ. მაჩვენებელი-4.4). მოსამართლეების პასუხების მიხედვით, დაბალი კვალიფიკაციის ველში აღმოჩნდა პროკურორების ცოდნა სამ კომპონენტთან მიმართებით: „კაზუსების ამოხსნის უნარი“ (საშ. მაჩვენებელი-3.4), „გაეროს კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ და მისი ზოგადი რეკომენდაცია N19“ (საშ. მაჩვენებელი-3.2), „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა“ (საშ. მაჩვენებელი-3.2).

- ადვოკატების მიერ პროკურორების კვალიფიკაციის შეფასების საშუალო მაჩვენებლები, ძირითადად, საშუალოზე მაღალი შეფასების ველშია მოქცეული. საშუალო კვალიფიკაციის ველში კი მხოლოდ ორი კომპონენტია: „გაეროს კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ და მისი ზოგადი რეკომენდაცია N19“ (საშ. მაჩვენებელი-3.3) და „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა“ (საშ. მაჩვენებელი-3.1).

ცხრილი №3.2

გთხოვთ, შეაფასოთ პროკურორების კვალიფიკაცია (ცოდნა, უნარები) ოჯახში ძალადობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი	4.4	3.8	4.7	-
საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავებს (მაგალითად, ქონების, ალიმენტის და სხვ. საკითხებს)	4.0	3.6	4.6	3.9
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავების (მაგალითად, ქონების, ალიმენტის და სხვ. საკითხების) გადაწყვეტას	4.0	3.5	4.5	4.0
კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ	3.8	3.4	4.5	3.6
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს	3.8	4.3	-	3.8
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ოჯახში ძალადობის შემთხვევებისთვის	3.8	3.5	4.5	3.6
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ოჯახში ძალადობის შემთხვევებისთვის	3.8	3.6	4.6	3.6
საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ	3.8	3.7	4.7	3.5
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს	3.7	4.3	-	3.7
კაზუსების ამოხსნის (ოჯახში ძალადობის კონკრეტული შემთხვევების კანონებთან მისადაგების) უნარი	3.7	3.4	4.6	3.5
გაეროს კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ და მისი ზოგადი რეკომენდაცია N19	3.5	3.2	4.4	3.3
ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა	3.4	3.2	4.4	3.1

შენიშვნა: *მონაცემები დათვლილია 5-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „ძალზე დაბალ კვალიფიკაციას“, ხოლო ციფრი „5“- „ძალზე მაღალ კვალიფიკაციას“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამებამაღალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - დაბალი შეფასების ველს.*

ადვოკატების კვალიფიკაციის შეფასების საშუალო მაჩვენებელი, ძირითადად, შეფასების საშუალო ველშია. ერთადერთი კომპონენტი, რომელშიც ადვოკატების კომპეტენცია საშუალოზე მაღალი ქულით ფასდება, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლია“ (საშ. მაჩვენებელი-3.8). ადვოკატების კვალიფიკაციამ ყველაზე დაბალი შეფასება დაიმსახურა საკითხებში „გაეროს კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ და მისი ზოგადი რეკომენდაცია N19“ (საშ. მაჩვენებელი-2.9) და „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნა“ (საშ. მაჩვენებელი-2.8).აღსანიშნავია, რომ მოსამართლეები შედარებით მაღალი ქულებით აფასებენ ადვოკატების კვალიფიკაციას, ვიდრე დანარჩენი ორი სამიზნე ჯგუფი, ხოლო ადვოკატები კი პირიქით, შედარებით დაბალი ქულებით აფასებენ საკუთარ კოლეგებს (იხ.ცხრილი №3.3):

- მოსამართლეები ადვოკატების კომპეტენციებს, ძირითადად, საშუალოზე მაღალი ქულებით აფასებენ. მათი შეფასებით, ადვოკატების კვალიფიკაცია შედარებით მაღალია საკითხებში „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი” (საშ. მაჩვენებელი-4.1), “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს” (საშ. მაჩვენებელი-4.0), “საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ” (საშ. მაჩვენებელი-4.0), “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს” (საშ. მაჩვენებელი-4.0). მოსამართლეების აზრით, ადვოკატების კვალიფიკაცია შედარებით დაბალია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა „საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავებს” (საშ. მაჩვენებელი-3.3) და „გაეროს კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ და მისი ზოგადი რეკომენდაცია N19“ (საშ. მაჩვენებელი-3.3);

- პროკურორების აზრით, ადვოკატების კვალიფიკაცია შედარებით მაღალია საკითხში „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი“ (საშ. მაჩვენებელი-3.7), ხოლო შედარებით დაბალი - „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნაში“ (საშ. მაჩვენებელი-3.3);

- როგორც უკვე აღინიშნა, ადვოკატები შედარებით დაბალი ქულებით აფასებენ საკუთარი კოლეგების კომპეტენციებს. მათი შეფასებები, ძირითადად, ნეიტრალური წერტილის ახლოსაა და შესაბამისად, შეფასების საშუალო ველს მიეკუთვნება. მათი აზრით, ადვოკატების კომპეტენცია განსაკუთრებით დაბალია „ოჯახში ძალადობისას სამართალწარმოების საერთაშორისო გამოცდილების ცოდნასთან“ დაკავშირებით, რომლის საშუალო მაჩვენებელი (საშ. მაჩვენებელი-2.5) დაბალი შეფასების ველთან ახლოს მდებარეობს.

ცხრილი №3.3

გთხოვთ, შეაფასოთ ადვოკატების კვალიფიკაცია (ცოდნა, უნარები) ოჯახში ძალადობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში	სულ	მოსამართლე	პროკურორი	ადვოკატი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლი	3.8	4.1	3.7	-
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს	3.2	4.0	-	3.2
საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ	3.2	4.0	3.4	3.1
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა უკავშირდება სამოქალაქო დავების (მაგალითად, ქონების, ალიმენტის და სხვ. საკითხების) გადაწყვეტას	3.1	3.4	3.6	2.9
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ოჯახში ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს	3.1	4.0	-	3.0
